ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 382

“25” აგვისტო 2023 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. № 01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისში შარტავას ქ. №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და ქალაქ თბილისში, შარტავას ქ. №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 23 აგვისტოს №23.1253.1387 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) მიმართ, „მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს ,,ინსის“ (ს/ნ. 206278516) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების (2023 წლის 9 ივნისის №269 განკარგულება) მეორე

პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში, შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენებაზე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების (2023 წლის 9 ივნისის №269 განკარგულება) მეორე პუნქტის შესაბამისად და მისი შინაარსის გათვალისწინებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმოს შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" ((ს/ნ. 204460957) მიერ განსაზღვრულ პირთან, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ოქტომბრისა.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე